



**ATIPfund**  
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

**State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking**



KA030898675968215

07-23/ო

06 / თებერვალი / 2015 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „თელავის ბავშვთა სახლის“ სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების სსიპ ქალაქ თელავის #5 საჯარო სკოლისათვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულებების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სსიპ ქალაქ თელავის #5 საჯარო სკოლის 2015 წლის 26 იანვრის №MES81500046300 წერილისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 4 თებერვლის №01/7360 წერილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „თელავის ბავშვთა სახლის“ სარგებლობაში არსებული ამ ბრძანების დანართ №1-ში მითითებული მოძრავი

ქონება სარგებლობაში გადაეცეს სსიპ ქალაქ თელავის №5 საჯარო სკოლას.

2. ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „თელავის ბავშვთა სახლის“ უფროსმა ნანა ხეჩოშვილმა უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების სსიპ ქალაქ თელავის №5 საჯარო სკოლისათვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მხრიდან ხელის მოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „თელავის ბავშვთა სახლის“ უფროსს ნანა ხეჩოშვილს.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილეს ბელა გოგუას.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი



მარინა მესხი